ანარიცხად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3.10 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, კომპანიამ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ასეთი ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებადი ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც არ არის ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთი და წარმოადგენს მიმდინარეს საწყისად აღიარდება დაუდისკონტირებელი თანხის მოცულობით.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას: (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას; (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები; (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშებზე).

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით, იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.11 საწესდებო კაპიტალი და დივიდენდი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა და აღიარდება როგორც ვალდებულება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3.12 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტორი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასამართლო დავები. კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება. კომპანია შესრულებული სამუშაოების ჩაბარების იღებს გარკვეულ ვალდებულებებს საგარანტიო მომსახურებაზე. ამონაგების აღიარების დროს კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ საგარანტიო ვალდებულებებს, რომლითაც ამცირებს აღიარებულ ამონაგებს. მოსალოდნელი საგარანტიო პერიოდის ვალდებულებები ფასდება ყველა შესაძლო შედეგისა და მათი ალბათობების შეწონვით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ამონაგები

ამონაგები სრულად ფორმირებულია ადგილობრივ ბაზარზე შესრულებული სამშენებლო სამუშაოებიდან.

	31/12/2024	31/12/2023
შემოსავალი შესრულებული სამუშაოდან	20 899 818	20 624 097
შემოსავალი მომსახურებიდან	13 224	184 531
	20 913 042	20 808 628

6. მიწოდების დანახარჯები

	31/12/2024	31/12/2023
პირდაპირი მასალები	6 045 447	5 964 305
პერსონალის დანახარჯები	5 128 356	38 010
დამხმარე მასალები	-	4 087
ტრანსპორტირების ხარჯები	1 350 934	21 123
სხვა კომპანიების გაწეული მომსახურება	3 976 727	3 367 525
	16 501 465	9 395 049

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31/12/2024	31/12/2023
შრომის ანაზღაურება	1 916 683	5 487 462
ცვეთა და ამორტიზაცია	281 779	260 441
საგადასახადო ხარჯი	17 766	4 685
საკონსულტაციო ხარჯი	16 000	6 000
რემონტის ხარჯი	75 390	72 527
ბანკის მომსახურება	15 756	11 506
წარმომადგენლობითი ხარჯები	10 807	-
ტრანსპორტირების ხარჯები	-	44 137
იჯარის ხარჯი	119 423	680 158
მივლინების ხარჯები	5 291	-
სამეურნეო ხარჯები	91 768	79 091
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	-	70 258
კომუნიკაციის ხარჯები	20 218	17 204
კომუნალური ხარჯები	12 599	7 815
დაზღვევის ხარჯი	27 594	18 212
საკანცელარიო ხარჯი	8 411	10 946
	2 619 486	6 770 441

8. მოგების გადასახადი

	31/12/2024	31/12/2023
მოგების გადასახადის ხარჯი	198 576	9 168
	198 576	9 168

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	36 239	142 404	398 967	3 505	581 116
შესყიდვა	932 203	14 127	51 109	1 355 548	-	2 352 988
გასვლა	-	-	-	629 290	3 505	632 795
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	932 203	50 366	193 513	1 125 226	-	2 301 309
შესყიდვა	-	15 195	37 687	114 628	6 087	173 597
გასვლა	-	-	-	108 906	-	108 906
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	932 203	65 561	231 200	1 130 947	6 087	2 365 999
დაგროვილი ცვეთა						
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	17 998	98 338	176 204	15 324	307 864
ცვეთის ხარჯი	4 750	5 818	19 924	229 525	-	260 016
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	69 865	15 324	85 189
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	4 750	23 816	118 262	-	335 863	482 691
ცვეთის ხარჯი	27 966	9 681	28 019	148	215 541	281 355
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	100 054	100 054
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	32 716	33 496	146 281	148	451 350	663 992
საბალანსო ღირებულება						
2022 წლის ბოლოს	-	18 242	44 066	222 764	(11 819)	273 253
2023 წლის ბოლოს	927 453	26 551	75 252	1 125 226	(335 863)	1 818 618
2024 წლის ბოლოს	899 487	32 065	84 919	1 130 799	(445 263)	1 702 007

ძირითადი საშუალებები სრულად წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფას.

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

10. არამატერიალური აქტივები

	პროგრამები	ჯამი
2022 წლის ბოლოს	4 240	4 240
შემოსავლა	-	-
გასვლა	-	-
2023 წლის ბოლოს	4 240	4 240
შემოსავლა	-	-
გასვლა	-	-
2024 წლის ბოლოს	4 240	4 240

	პროგრამები	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია		
2022 წლის ბოლოს	2 641	2 641
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	424	424
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-	-
2023 წლის ბოლოს	3 065	3 065
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	424	424
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-	-
2024 წლის ბოლოს	3 489	3 489

	პროგრამები	ჯამი
საბალანსო დირებულება		
2022 წლის ბოლოს	1 599	1 599
2023 წლის ბოლოს	1 175	1 175
2024 წლის ბოლოს	751	751

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულს და ნაშთები ბანკებში, საწყისი სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით.

	31/12/2024	31/12/2023
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	26 735	252 776
სულ	26 735	252 776

ბანკში არსებული ნაშთების მოთხოვნამდე ვალდებულება დაცულია.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	2 521 250	3 727 029
გადახდილი ავანსები	255 815	393 126
სულ	2 777 065	4 120 155

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

13. მარაგები

	31/12/2024	31/12/2023
ნედლეული და მასალები	5 774 143	5 017 653
მზა პროდუქცია	13 661	12 408
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	50 551	36 903
სულ	5 838 355	5 066 964

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო ვალდებულებები	1 948 115	2 435 904
გადასახდელი ხელფასები	518 312	264 966
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	54 393	82 517
სულ	2 520 819	2 783 387

სავაჭრო ვალდებულებებზე არ ირიცხება პროცენტი.

15. მიღებული სესხები

	31/12/2024	31/12/2023
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	1 649 627	414 809
ფინანსური იჯარის ვალდებულება	58 957	-
	1 708 584	414 809
მოკლევადიანი		
საბანკო სესხები	500 000	723 362
	500 000	723 362
სულ სესხები	2 208 584	1 138 172

კომპანიას სესხები მიღებული აქვს ფინანსური ინსტიტუტებიდან.

16. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	31/12/2024	31/12/2023
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(6 045)	(18 722)
სულ	(6 045)	(18 722)

17. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

	31/12/2024	31/12/2023
ფინანსური დანახარჯები		
ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	817 272	980 046
სულ ფინანსური დანახარჯები	817 272	980 046

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობასა და კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებს და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება პარტნიორებსა და დირექტორისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობს წილს საწარმო, საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოჯახის წევრები. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ოპერაციები და ნაშთები პარტნიორებთან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	დაუფარავი ნაშთი	დაუფარავი ნაშთი	ტრანზაქციის დირეზულეზა	ტრანზაქციის დირეზულეზა
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2024	31/12/2023
გადასახდელი დივიდენდები	0	0	(2067368)	(394737)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	დაუფარავი ნაშთი	დაუფარავი ნაშთი	ტრანზაქციის დირეზულეზა	ტრანზაქციის დირეზულეზა
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2024	31/12/2023
ვალდებულებები უძრავი ქონების შეძენიდან	0	328603		
სავაჭრო ვალდებულებები	160000	140000		
შენობა, ნაგებობები			932203	932203
მომსახურების ხარჯი (იჯარა)			(456277)	(520870)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის განხორციელებული ტრანზაქციები კომპანიის ხელმძღვანელობასთან.

	დაუფარავი ნაშთი	დაუფარავი ნაშთი	ტრანზაქციის დირეზულეზა	ტრანზაქციის დირეზულეზა
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2024	31/12/2023
გადასახდელი ხელფასები	0	0		
ხელფასის ხარჯი			(470323)	(281734)

19. პირობითი ვალდებულებები

სახელმძღვანელო ვალდებულებები - კომპანიას არ ჰქონია არსებითი დაუფარავი სახელმძღვანელო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

იურიდიული სამართალწარმოებები - 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მოხდება არსებითი დაურიცხავი ზარალის გაწევა და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა ანარიცხი.

შპს „გაზ კონსტრაქტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა უწყვეტი განვითარების და შესაბამისად სხვადასხვა ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა რეტროაქტიული იყოს. გარდა ამისა, კომპანიის გარიგებებსა და საქმიანობებთან დაკავშირებული

საგადასახადო კანონმდებლობის საგადასახადო უწყებების მიერ ინტერპრეტაცია შესაძლოა არ დაემთხვეს კომპანიის მიერ გაკეთებულ ინტერპრეტაციებს. საგადასახადო პერიოდები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ შემოწმებისთვის სამი წლის განმავლობაში. შედეგად, საგადასახადო უწყებებმა შესაძლოა ეჭვს ქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და მოსაკრებლები.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი ჰქონდა არამაკორექტირებელ მოვლენას: 2025 წელს კომპანიამ პარტნიორებზე დივიდენდების სახით გასცა დივიდენდი 1 700 000 ლარის ოდენობით.

კომპანია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შეიძინა სატრანსპორტო საშუალება ჯამური ღირებულებით 35000 ლარი და ექსკავატორი ღირებულებით 101695 ლარი.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დირექტორის მიერ და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შპს “გაზ კონსტრაქტი”

მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგაროშო
პერიოდისთვის

შინაარსი

1.შესავალი	3
2.საქმიანობის მიმოხილვა	3
3.კომპანიის საოპერაციო გარემო	4
4.შრომის ანაზღაურების პოლიტიკა	4
5.ჯანსაღი გარემო შრომისათვის	5
6.ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	5
7.სამომავლო გეგმები	5
8.გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.....	5
9.ნარჩენების მართვა	6
10.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	6
11.ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები.....	8

1.შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი და მომსახურების სტანდარტები, მოიცავს კომპანიის როგორც განვლილ პერიოდს, ასევე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია – ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა.

2.საქმიანობის მიმოხილვა

შპს „გაზ კონტრაქტი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 437062385) რეგისტრირებულია 2014 წლის 10 აპრილს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მშენებლობაში გამოცდილების მქონე დამფუძნებელი პარტნიორების მიერ, რომლებმაც მიზნად დაისახეს გაზსადენების მშენებლობის შედეგად მოგების მიღება.

კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ:

გიორგი დანელია - 50%

თეიმურაზ პაიჭაძე - 50%

კომპანიის წესდებით ნებადართული კაპიტალი განსაზღვრული არ არის, რაც შესაძლებელია საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობით.

კომპანიის მმართველობის ორგანოებია:

ა) კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის პარტნიორთა კრება;

ბ) კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის მიერ;

დ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო დირექტორი - თეიმურაზ პაიჭაძე, ერთპიროვნული.

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

შპს „გაზ კონსტრაქტი“-ს გაფორმებული აქვს გენერალური ხელშეკრულება შპს სოკარჯორჯია-სთან. აგრეთვე ვმუშაობთ სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

შპს „გაზ კონსტრაქტი“ ბუღალტრული და მენეჯერული აღრიცხვისათვის იყენებს პროგრამა „ინფო ბუღალტერს“.

კომპანიის ამონაგებმა 2024 წელს შეადგინა 20 913 042 ლარი, ხოლო 2023 წელს იყო 20 808 628 ლარი.

კომპანიის აქტივებმა 2024 წლის ბოლოს შეადგინა 10 344 913 ლარი, ხოლო 2023 წლის ბოლოს იყო 11 259 688 ლარი.

კომპანიის მოგებამ 2024 წელს შეადგინა 622 837 ლარი, ხოლო 2023 წელს - 3 460 678 ლარი.

კომპანიას დროებით სარგებლობაში აქვს ფართები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

3.კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ოპერაციულ შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ბიზნესგარემო, აგრეთვე პოლიტიკური ფაქტორები, რომელთა ზემოქმედება მომავალშიც დარჩება ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ძალად.

საქართველოს ეკონომიკა გამოირჩევა განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საგადასახადო კანონმდებლობა ხშირი ცვლილებებისა და განსხვავებული ინტერპრეტაციების საგანია, რაც დამატებით რისკებს ქმნის ბიზნესგარემოში და მოითხოვს კომპანიის მხრიდან მუდმივ მონიტორინგსა და ადაპტაციას.

საქართველოს ეკონომიკური მიმართულება დიდწილად განისაზღვრება მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებით, მათ შორის საგადასახადო, იურიდიული, მარეგულირებელი და პოლიტიკური ღონისძიებებით.

ბოლო წლებში სახელმწიფო მხრიდან განხორციელებულმა რეფორმებმა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების მიმართულებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთო საინვესტიციო კლიმატზე. აღსანიშნავია ახალი კანონმდებლობის მიღება, მათ შორის საპროცესო ნორმების კუთხით, რაც ზრდის ბიზნესის სამართლებრივ წინასწარგანჭვრეტადობას. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად ამცირებს ოპერაციული და საბაზრო რისკებს საქართველოში.

მიუხედავად ამისა, კომპანიის მენეჯმენტს არ შეუძლია წინასწარ განისაზღვროს ყველა გარემოება, რომელიც შესაძლოა ზეგავლენას მოახდენდეს ქვეყნის ეკონომიკაზე და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოს სრული სიზუსტით კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე მათი შესაძლო გავლენის პროგნოზირება.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია იღებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას, რათა უზრუნველყოს ბიზნესის მდგრადობა, ოპერაციული სტაბილურობა და შემდგომი ზრდისათვის ხელშეწყობა. ამასთან, მიმდინარე გარემოებისა და მიღებული გადაწყვეტილებების რეგულარული მონიტორინგი რჩება კომპანიის სტრატეგიული პრიორიტეტად.

4.შრომის ანაზღაურების პოლიტიკა

შპს „გაზ კონსტრქტ“-ში 2024 წლის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 133 ადამიანი .

კომპანიის საკადრო პოლიტიკა გულისხმობს თანამშრომლებზე ზრუნვას და მათ წახალისებას, რაც ითვალისწინებს მუდმივმოქმედ ჯანმრთელობის დაზღვევას მათზე და მათი ოჯახის წევრებზე, უზრუნველყოფას კომფორტულ სამუშაო გარემოს და ანაზღაურებად შვებულებას.

კომპანიაში მოქმედებს შრომის ანაზღაურების გაწერილი პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების ფორმებს, ზომებს, კომბინაციებს, ბონუსების სისტემებსა და გადახდის პერიოდულობას, ასევე თითოეული კომპონენტისთვის დაწესებულ მაქსიმალურ ზღვარს, მმართველი ორგანოს წევრების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებსა და პრემიების სქემის პირობებს.

კომპანიის შრომის ანაზღაურების პოლიტიკა შესაბამისობაშია მის სტრატეგიასთან, ბიზნეს და საბაზრო პრაქტიკასთან და არის ბაზარზე კონკურენტული.

შრომის ანაზღაურება მოიცავს როგორც ფიქსირებულ, ასევე ცვლად და საპენსიო კომპონენტებს. დამატებით, კომპანიის თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორაციული პაკეტით.

კომპანიის საბჭოს შრომის ანაზღაურება არის საბაზრო პრაქტიკის შესაბამისი და საკმარისი იმისთვის, რომ კომპანიას ჰყავდეს კომპეტენტური, გამოცდილი და უფლებამოსიანობების შესასრულებლად საჭირო უნარების მქონე ხელმძღვანელობა. დირექტორების ანაზღაურება ასევე შეესაბამება კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მაჩვენებლებს.

5.ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე, შპს „„გაზ კონსრაქტი“-ს მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განუზრუნვლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს. რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

6.ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „„გაზ კონსრაქტი“-ს ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

შ.პ.ს „„გაზ კონსრაქტი“-ს უზრუნველყოფს დასაქმებული პერსონალი მაქსიმალურად უსაფრთხო საქმიანობას და მისი არსებობის განმავლობაში, არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მაღალკვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

7.სამომავლო გეგმები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შ.პ.ს „„გაზ კონსტრაქტი“-ი მუდმივად ზრუნავს თავისი ბიზნესის განვითარება- გაფართოებაზე. ის ახორციელებს ინვესტიციებს და ზრდის მის არეალს, გეგმავს განავითაროს სასაწყობო მეურნეობა.

8.გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე და ასევე

ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ჩვენ ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

9. ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიებებისა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „ნარჩენების შესახებ“. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი. სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმო ფუნქციონირებს გარემოში, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. შესაბამისად, რისკების მართვა ითვალისწინებს როგორც კომპანიის შიდა გარემოს, ისე გარე ფაქტორებს.

შიდა რისკები წარმოიშობა კომპანიის შიდა რესურსების, პროცესების და ორგანიზაციული სტრუქტურის გამო. ეს მოიცავს:

- ადამიანური რესურსების რაოდენობასა და მომზადების დონეს;
- ტექნოლოგიური და წარმოებითი ინფრასტრუქტურის მდგომარეობას;
- ფინანსური რესურსებისა და კაპიტალის საკმარისობას;
- შიდა კონტროლის და ინფორმაციული სისტემების ხარისხს.

გარე რისკები წარმოიქმნება გარემოს ფაქტორების ზემოქმედებით, მათ შორის:

- ეკონომიკური და პოლიტიკის ცვლილებები;
- საერთაშორისო და ეროვნული ბაზრების ცვალებადობა;
- საგადასახადო და მარეგულირებელი გარემოს ცვლილებები;
- პარტნიორული და სახელშეკრულებო ურთიერთობების რისკები.

რისკების იდენტიფიკაცია და ანალიზი მოიცავს სხვადასხვა ტიპის რისკებს:

- სტრატეგიული;
- ფინანსური;
- ოპერაციული;
- სამართლებრივი და სხვა.

ანალიზის შედეგად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურები აღწერენ რისკების შემცირების ღონისძიებებს და წარადგენენ ადმინისტრაციას, რათა დაიგეგმოს მათი მართვა სხვადასხვა მიმართულებით.

რისკების მართვა ასევე ეფუძნება:

- მმართველობას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, ფუნქციებს და ანგარიშვალდებულების სფეროებს;
 - კომპანიის რესურსებისა და ცოდნის შესაძლებლობებს (დრო, პროცესები, ადამიანური რესურსები, სისტემები, კაპიტალი, ტექნოლოგიები და სხვა);
 - ინფორმაციული სისტემების მუშაობას, ინფორმაციის ნაკადის მართვას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს;
 - სახელმძღვანელო ურთიერთობების ფორმას, მოცულობასა და პირობებს.
- რისკების უარყოფითი ზეგავლენის შემცირება ხდება სხვადასხვა საპასუხო ღონისძიების საშუალებით. ეს მოიცავს არა მხოლოდ რისკის მუდმივ კონტროლს და მონიტორინგს, არამედ დამატებით სტრატეგიებს, როგორებიცაა:
- რისკის თავიდან აცილება: საქმიანობის გარკვეული მიმართულებების შეზღუდვა ან ოპერაციების გადატანა ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული მნიშვნელოვანი ფინანსური ან ოპერაციული ზიანი;
 - რისკის გაზიარება: რისკის განაწილება პარტნიორებს შორის ან სპეციალიზებულ დაზღვევის ინსტრუმენტების გამოყენებით;
 - რისკის დაფინანსება: რისკის მართვა ხარჯებისა და სარგებლის ანალიზის საფუძველზე, რათა შესაძლო ზარალი დაფაროს რესურსებით ან დაზღვევით;
 - სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს რისკის შემცირებას ორგანიზაციული, ტექნოლოგიური ან ფინანსური ნაბიჯების მეშვეობით.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი წარმოიშობა, როდესაც პარტნიორი ან კლიენტი ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს. მპს „ჯორჯიან კონსტრაქშენ სოლუშენს“-ში ეს უკავშირდება როგორც პროდუქციის კრედიტის პირობებით გაყიდვებს, ისე საერთაშორისო ტრანზაქციებს. რისკის შემცირება ხდება:

- პარტნიორების ფინანსური მდგომარეობის ანალიზით;
- საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრით;
- წინასწარი გარანტიების გამოყენებით.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან:

- უცხოურ ვალუტებში;
- საპროცენტო განაკვეთების მქონე აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- სხვა საბაზრო აქტივებზე.

მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს რისკების მოცულობაზე და ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს. მიუხედავად კონტროლისა, მკვეთრი საბაზრო ცვლილებების პირობებში ზარალის თავიდან აცილება ყოველთვის შეუძლებელია.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას შეიძლება გაუჭირდეს მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების შესრულება, მაგალითად: გამოყენებული მასალების საფასურის, ტრანსპორტირების ხარჯების ან საგადასახადო ვალდებულებების შესრულება. მპს „გაზ კონსტრაქტ“-ში ამ რისკის შემცირება ხდება ფულისა და ფულის ექვივალენტების მარაგის კონტროლით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ნებისმიერ მოულოდნელ ხარჯს სწრაფად უპასუხონ, არ შეფერხდეს წარმოება.

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის

სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებით თუ უარყოფით ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

კომპანიამ შეაფასა თავისი გარიგებები (მათ შორის გაყიდვები და სხვ.) და ხელმძღვანელობას შეუძლია განაცხადოს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობა, საწარმოს მიზანსა და ფინანსური რისკის პოლიტიკის მართვასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ბიზნეს რისკები და 2025 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის ფინანსური შედეგები მეტყველებს კომპანიის უნარზე, შეასრულოს 2025 წლისთვის დასახული ყველა ბიზნეს ამოცანა.

11. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

/თ. პაიჭაძე/

სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებით თუ უარყოფით ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

კომპანიამ შეაფასა თავისი გარიგებები (მათ შორის გაყიდვები და სხვ.) და ხელმძღვანელობას შეუძლია განაცხადოს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობა, საწარმოს მიზანსა და ფინანსური რისკის პოლიტიკის მართვასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ბიზნეს რისკები და 2025 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის ფინანსური შედეგები მეტყველებს კომპანიის უნარზე, შეასრულოს 2025 წლისთვის დასახული ყველა ბიზნეს ამოცანა.

11. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

